ხაშურის მოამბე

№4 (475) 10 თებერვალი, ორშაბათი, 2025 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

6 თებერვალს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, ნინო ლიპარტელიანის თავმჯდომარეობით.

საკრებულომ იმსჯელა დღის წესრიგით გათვალისწინებულ 13 საკითხზე და ხმათა უმრავლესობით, დაუჭირა მხარი წარმოდგენილ პროექტებს:

სახელმწიფო და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის

დადგენის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

ა(ა)იპ საზოგადოება "ბილიკისათვის" ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით, გადაცემის შესახებ;

თანხმობა მისცა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს ზემო-სერის ტყე-პარკთან მისასვლელი გზის რკ/ ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოების შესყიდვისა და შესაბამისი გარიგების დადების თაობაზე; აგრეთვე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ხაშურში, ტაბიძის ქუჩაზე მდებარე, უძრავი ქონების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გასხვისების მიზნით, ფუნქციის დაკარგვის თაობაზე;

დაამტკიცა ხაშურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა;

მიიღო განკარგულება ხაშურის მუნიციპალიტეტში, 2025 წელს, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ;

ცვლილებები შევიდა დადგენილებებში ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" და „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ;"

დამტკიცდა ხაშურის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმა;

აგრეთვე, დაამტკიცა ხაშურის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭოს 2025 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა წარმოადგინა;

საკრებულომ მოისმინა და ცნობად მიიღო ანგარიში ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, რომელზეც ნინო ლიპარტელიანმა ისაუბრა საკრებულოს მიერ ინიციირებულ პროექტებზე, როგორიცაა „ხაშურის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი 2024-2027;"

აგრეთვე, მოისმინა და დადებითად შეაფასა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში;

მოისმინა და ცნობად მიიღო ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

პროექტები საკრებულოს წევრებმა, აპარატმა, და მერიის სამსახურებმა წარმოადგინეს.

ხაშურის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" დაიწყო

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი, მერის თანაშემწე მერაბ ბარბაქაძე და ალის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლობის თანამშრომლები შეხვდნენ დუმაცხოვის, ახალუბნის, ქინძათის, მცხეთიჯვრის და ალის მოსახლეობას.

მოქალაქეებმა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა ერთობლივად იმსჯელეს პრიორიტეტულ პრობლემებზე და დასახეს მათი გადაჭრის გზები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამართულ კრებებზე მოსახლეობამ შემდეგი პრიორიტეტები გამოკვეთა: დუმაცხოვში სანიაღვრეს მოწყობა გადაწყდა, ახალუბანში ბეტონის გზა მოეწყობა, ქინძათის, მცხეთიჯვრის და ალის მოსახლეობამ არჩევანი სასმელი წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციაზე შეაჩერა.

მოქალაქეთა გადაწყვეტილებით შერჩეული პროექტები დასამტკიცებლად მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება.

საინფორმაციო შეხვედრა ვანდალიზმის შესახებ

პროექტის ფარგლებში: "სუფთა ნაკვალევი" გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ვანდალიზმის შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ზვიად გოგუაძე და საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი - ნინო სუხიაშვილი.

პროექტი ხორციელდება მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, ~ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოების ასოციაციის~ მიერ, სსიპ ~ახალგაზრდობის სააგენტოს~ ფინანსური მხარდაჭერით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №39 დადგენილების საფუძველზე, როგორც მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, უზრუნველყოფს ეკონომიკური მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას, მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების შემუშავებას, მშენებლობის ნებართვის თაობაზე გადაწყვეტილების მომზადებას, მუნიციპალიტეტის ქონების მართვას.

სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების, საქართველოს მთავრობის 08.12.2014წ. №669, 20.02.2014წ. №189 დადგენილებების და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. სამსახური შედგება სამსახურის ხელმძღვანელისა და მეორადი სტრუქტურული ერთეულებისგან-განყოფილებებისაგან:

მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება;

სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილება.

სამსახურის საშტატო განრიგი შედგება, სამსახურის ხელმძღვანელის, განყოფილებების ხელმძღვანელებისაგან და 8 (რვა) მოხელისაგან-(სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილება-4; მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება-4).

მიზანშეწონილად მიმაჩნია სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში დავყოთ შესაბამისი განყოფილებების მიხედვით:

მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ, მოქმედი კანონმდებლობისა და დებულების შესაბამისად, გატარებულია რიგი ღონისძიებები და პროცედურები.

2024 წელს - წიაღის ეროვნული სააგენტოდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე შემოსულია 45 მომართვა, თანხმობა-11, უარი-24, 10 მომართვა მოკვლევაშია. მოქალაქეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მოთხოვნათა ელექტრონულ ბაზაში შეყვანილია - 35 ბენეფიციარი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით, კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არა იზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის შესაბამისად, მომზადდა თანხმობის 2 პროექტი. 1 პროექტს ეთქვა უარი.

ყოველი წლის არა უგვიანეს თებერვლამდე, საკრებულოს სხდომაზე ვიღებთ ახალ დადგენილებას „ხაშურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

2024 წელს შედგა იჯარის აუქციონი **„ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. გომში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ69.02.65.022.059) იჯარის ფორმით გადაცემისათვის ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ“.** იჯარა გაცემულია 2 წლის ვადით, ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 248,35 (ორასორმოცდარვა ლარი და ოცდათხუთმეტი თეთრი) ლარის ოდენობით.

მიმდინარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის 100 %-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული, შპს „არქიტექტორი“-ს და შპს „ოაზისი 2008“-ს ლიკვიდაციის პროცესი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 23.09.2024წ. გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №210/2 ხელშეკრულების შედეგად შესყიდული 350კვ.მ საშეშე მერქანი უსასყიდლოდ, უვადოდ გადაეცათ სოციალურად შეჭირვებულ პირებს.

სახელმწიფოს საკუთრებაში გადაეცა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ს/კ 69.10.52.299), შემდგომში, სსიპ ვაჟა-ფშაველას სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოცხნარის საჯარო სკოლისათვის გადასაცემად.

2024 წელს -ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ- მოძრავი ქონება სარგებლობაში, საკუთრებაში და იჯარის ფორმით გადაეცა შემდეგ ა(ა)იპ-ს და სსიპ-ებს:

1.ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა სურამში მდებარე 12575კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (69.04.59.034) 32 კვ.მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში, შემდგომში მისი შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კაპიტალში შეტანის მიზნით.

2. სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო“-ს გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა სურამში მდებარე (ს/კ69.04.59.785) 16კვ.მ. მიწის ნაკვეთი, უსასყიდლო უზუფრუქტით, სარგებლობის უფლებით, ახალი ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურების განთავსებისთვის.

3. ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირის გადაეცა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონება (ს.კ 69.08.67.985) უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით 2 წლის ვადით.

4. სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალებები გადეცა ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“–ს (ს/კ 443856908) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით .

5.მოქალაქე ჯიმშერ ხაჩიძეს დროებით სარგებლობაში (ერთი თვით) იჯარის ფორმით, ატრაქციონების განსათავსებლად გადაეცა, ხაშურში ტაბიძის ქუჩაზე მდებარე (ს/კ 69.08.59.780) უძრავი ქონებიდან (დასასვენებელი პარკი) 126კვ.მ. ფართი.

6. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სსიპ „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტო“-ზე (ს/კ 202504753), სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების შიდა ქართლის და სამცხე, ჯავახეთის რეგიონული ცენტრის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ხაშურის მუნიციპალური განყოფილებისათვის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

7. სსიპ „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს“ (ს/კ 202504753), სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების შიდა ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ცენტრის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ხაშურის მუნიციპალური განყოფილებისათვის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული - უძრავი ქონების (3.69.08.58.036) დროებით სარგებლობით გადაცემის თაობაზე. მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, დამატებითი ქონების სახით გადმოგვეცა შემდეგი უძრავი ქონება:

1. ს/კ 69.08.60.743 - ხაშურში, ბორჯომის ქუჩის მიმდებარედ, სპორტული და დასასვენებელი სივრცის მოწყობის მიზნით;

2. ს/კ 69.08.58.477- ხაშურში, 9 აპრილის ქუჩის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება;

3. ს/კ 69.06.60.929 -ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვიშხეთი, ნინო ყიფიანის ხეივანი №16

4. ს/კ 69.05.52.434 -ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფლევი. (ამბულატორია, და სოფლის პროგრამით მოწყობილი სარიტუალო დარბაზი);

5. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბრძანებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, უსასყიდლოდ, უვადოდ, გადმოგვეცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება (ს/კ 69.08.58.209.01.519)

2024 წელს, იჯარით გაცემული ობიექტებიდან შემოსული თანხა განისაზღვრა 32 500 ლარით, ხოლო ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 609 177 ლარი.

განახლების პროცესშია საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემი ობიექტების ნუსხა და დოკუმენტაციის შესაბამისი პაკეტი, რომელთა გაცემა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით განხორციელდება ელექტრონული აუქციონის წესით. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში სულ შეტანილია 16 ობიექტი, ასევე დაინტერესებული პირების მომართვის საფუძველზე, მიმდინარეობს საპრივატიზებოდ მიმზიდველი უძრავი ქონების შერჩევა-შეფასების პროცესი.

დაწყებულია საქმისწარმოება:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. გომში მდებარე 111კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე დამაგრებული 74,9კვ.მ შენობა-ნაგებობის პრივატიზების შესახებ.

2. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანების TOYOTA COROLLA (სახ. ნომრით FF741HH) და VAZ 21214 (სახ. ნომრით SS-386-HH) პრივატიზების შესახებ.

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად, დაწყებულია საქმისწარმოება ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 35 ოჯახზე მათ მიერ დაკავებული ფართის საკუთრებაში გადაცემის პროცედურა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ ეტაპობრივად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია.

სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების მიერ 2024 წელში გაწეული საქმიანობის ანგარიში

მოქალაქეთა მიერ შემოტანილი განცხადებების საფუძველზე განხილული და დამტკიცებული იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ

(დასასრული III გვერდზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში

(დასასრული)

გამოყენების პირობები - 143, შემდგომში ნებართვების მისაღებად, შეთანხმებულია და დამტკიცებულია - I კლასის ობიექტების მშენებლობის 69 პროექტი, შესრულდა მიწის ნაკვეთების გაყოფის - 122 და გაერთიანების 67 განცხადება, შეთანხმებულია "ენერგო-პრო ჯორჯიას" 150 პროექტი, სს სილქნეტის 19, შპს "სოკარ-ჯორჯიას" 30 და შპს „მაგთიკომი"-ს 7 ობიექტის მონტაჟის პროექტი, პასუხი გაეცა ფიზიკური და იურიდიული პირებისგან შემოსულ მრავალ მომართვასა და განცხადებას.

გაიცა მშენებლობის 127 ნებართვა, მათ შორის: საცხოვრებელ სახლებზე - 50, კომერციულ ობიექტებზე - 23, დემონტაჟი - 16, რეკონსტრუქცია - 11, სასაწყობე შენობებზე - 5, საზკვების ობიექტი - 3, ავტოსერვისი - 7, ავტოსამრეცხაო - 1, დამხმარე შენობა 2, ღობე - 3, საჯარო სკოლის შენობა - 3, კოტეჯების კომპლექსი - 1, სარეკლამო აბრა - 2.

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 54 366.00 ლარი.

განვიხილეთ სივრცითი დაგეგმარების მოსამზადებელი დოკუმენტაცია. მათ შორის: სამთო სათხილამურო კურორტი „შუანოს ველი''-ს მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისათვის, სოფელ ალექსანდრესწყაროში ახალი დასახლების მიწათსარგებლობისათვის განაშენიანებისრეგულირებისგეგმისშესამუშავებლადმიმდინარეობდა კონცეფციის განხილვა და გარემოს დაცვაში სკოპინგის მასალების გადაგზავნა, დაბა სურამში შპს „პარკ ჰოტელი"-ს საკუთრეაში არსებულ მიწის ნაკვეთში დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

სერგო ლალიაშვილი,

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის

ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების ანგარიში 2024 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილება თავის საქმიანობას ახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" N38 დადგენილების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

განყოფილებაში საქმიანობს 5 თანამშრომელი - განყოფილების ხელმძღვანელი, 1 - მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, 2 მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და 1 ხელშეკრულებით დასაქმებული პირი. მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტები ემსახურებიან მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს, ხოლო პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ხელშეკრულებით დასაქმებული პირი და განყოფილების ხელმძღვანელი პასუხისმგებელი არიან მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე. განყოფილება მართავს მერიის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდს, მუნიციპალიტეტის მერის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდს და ასევე მერიის ოფიციალურ ვებ გვერდსაც.

როგორც აღინიშნა, განყოფილება ადმინისტრირებას უწევს მერიის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდს, მუნიციპალიტეტის მერის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდს და მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდსაც, რაც საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილებას საშუალებას აძლევს უზრუნველყოს ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება, რაც ხელი უწყობს ორგანიზაციაში გამჭვირვალობისა და საზოგადოებასთან ანგარიშვალდებულების ამაღლებას.

მერიის, ასევე მერის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდებზე ახალი ინფორმაციის განთავსება ხდება ყოველდღიურ რეჟიმში. როგორც ფეისბუქის, ისე ვებგვერდზე განსათავსებელი მასალის მომზადება, დამუშავება, შესაბამისი ფოტომასალის დართვა, ასევე ვიდეომასალების მომზადება ხდება უშუალოდ განყოფილების თანამშრომლების მიერ. გარდა ჩვენი ექსკლუზიური ინფორმაციისა, ფეისბუქის გვერდებზე ხდება ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების, და ქვეყანაში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ არსებული ინფორმაციის გაზიარება.

ფეისბუქის ორივე გვერდი მუშაობს ინტერაქტიურ რეჟიმში. მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ დასვან შეკითხვა ან აზრი გამოხატონ მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემების ირგვლივ. ყველა შეკითხვა, რომელიც შემოსულია ფეისბუქის გვერდების მეშვეობით, პასუხგაცემულია შესაბამის სამსახურებთან კონსულტაციის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლიდან, ხაშურის მუნიციპალიტეტში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით, ხორციელდება სამოქალაქო ბიუჯეტირება. შესაბამისად, საჭირო გახდა საინფორმაციო მხარდაჭერა. შეიქმნა ცალკე ფეისბუქის გვერდი სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტისთვის, რომელიც უკვე მესამე წელია ასევე იმართება ჩვენი განყოფილების მიერ.

გარდა ინფორმაციის გავრცელების აღნიშნული საშუალებებისა, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს საინფორმაციო სააგენტო Ipress-თან, სადაც სისტემატურად ხდება ინფორმაციის განთავსება მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ. 2024 წლის იანვრის თვიდან (როცა დაიდო თანამშრომლობის ხელშეკრულება) დეკემბრის ბოლომდე, სააგენტოს საიტზე გამოქვეყნებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ამსახველი 132 მასალა. მიმდინარე წელსაც ვაგრძელებთ თანამშრომლობას სააგენტო Ipress-თან. 2024 წლის 26 დეკემბერს დაიდო ახალი ხელშეკრულება და უკვე გამოქვეყნებულია 5მასალა.

განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს რეგიონულ თუ ცენტრალურ მედიასთან. განსაკუთრებით ხშირად გვიკავშირდებიან ადგილობრივი ტელეკომპანიების „დიას", „მონიტორინგის" და „თრიალეთის" ჟურნალისტები, ასევე რეგიონული თუ ცენტრალური ბეჭდვითი თუ ინტერნეტ მედიის წარმომადგენლები.

განყოფილება აქტიურად იყო და არის ჩართული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საინფორმაციო მხარდაჭერაში. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, გასულ წელს ჩატარებული 77 კრება/კონსულტაცია აქტიურად შუქდებოდა ჩვენს ფეისბუქის გვერდზე და შესაბამისი მასალა გამოქვეყნებულია ვებ გვერდზე. მოგეხსენებათ, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა უკვე იწყება. უშუალოდ მოსახლეობასთან შეხვედრების დაწყებამდე გამოსაქვეყნებელი ყველა მასალა (საპროექტო წინადადების წარდგენის ფორმა, სოფლებში ჩასატარებელი შეხვედრების განრიგი და ა.შ.), გამოქვეყნებულია ვებ გვერდზე და გაშუქებულია ფეისბუქის გვერდებზე.

განყოფილება ჩართულია ხაშურთან დამეგობრებულ ქალაქებთან ურთიერთობაში. 2024 წლის მაისის ბოლოს, მუნიციპალიტეტის დელეგაცია ვიზიტით იმყოფებოდა ლატვიაში ხაშურთან დამეგობრებულ ქალაქ ბაუსკაში. ჩვენი განყოფილების უშუალო ჩართულობით მოხერხდა წარმატებული მოლაპარაკება ბაუსკას ხელმძღვანელობასთან, რის შედეგადაც ჩვენი მოცეკვავეთა ანსამბლი „ფრესკა" წარსდგა ლატვიელი მაყურებლის წინაშე ფესტივალ „ოქროს მუხას" ფარგლებში და დიდი მოწონება დაიმსახურა. ანსამბლის წევრთა ლატვიაში ყოფნის ყველა ხარჯი სრულად დააფინანსა მასპინძელმა მხარემ.

2024 წელს ტრადიციულად ჩატარდა ხაშურქალაქობის დღესასწაული. ჩვენი განყოფილება აქტიურად მონაწილეობდა დღესასწაულის გაშუქების ღონისძიებებში.

განყოფილების მიერ გაშუქებულია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი პროექტი ინფრასტრუქტურული, კულტურული თუ საზოგადოებრივი მიმართულებით. ამასთან, განსაკუთრებით გამოვყოფდი წარმატებულ კოორდინაციას როგორც სამხარეო ადმინისტრაციასთან, ისე სამთავრობო სტრუქტურებთან. შედეგად, ხაშურში ჩატარებული არაერთი ღონისძიება მოხვდა ნაციონალური მაუწყებლობების ეკრანებზე.

ასევე, განსაკუთრებით გამოვყოფ თანამშრომლობას ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან „ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის". ამ ორგანიზაციის ინიციირებით შეიქმნა მერის ახალგაზრდა მრჩეველთა საბჭო, რომელიც აქტიურად მუშაობს და არაერთ საჭირო და სასარგებლო პროექტს ახორციელებს. ჩვენი განყოფილება მხარში უდგას საბჭოს საქმიანობას კომპეტენციის ფარგლებში.

საქმიანობას აგრძელებს მერის მრჩეველთა საბჭო. საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილება კოორდინაციას უწევს საბჭოს საქმიანობის პროცესს.

გასულ წელს, განყოფილებამ ყურადღება დაუთმო მუნიციპალიტეტის საიმიჯო ვიდეომასალის მომზადებას. ამ მიზნით ხელშეკრულება გაფორმდა ცნობილ ხაშურელ ვიდეოგრაფთან ნიკა კახეთელიძესთან. მომზადდა და სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეორგოლი ხაშურის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ:

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი განყოფილების გამართული ფუნქციონირება დიდწილად არის დამოკიდებული როგორც ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელთან და სხვა განყოფილებებთან, ისე მერიის სამსახურებთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, ყველა ხელმძღვანელ პირთან თანამშრომლობაზე. ამიტომ გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ თანამდებობის პირსა თუ თანამშრომელს, რომელთა ჩართულობის, თანამშრომლობაზე ორიენტირებულობისა თუ პრობლემებზე დროული რეაგირების გარეშე ჩვენი საქმიანობა აუცილებლად შეფერხდებოდა. როგორც განყოფილების ხელმძღვანელი მადლობას ვუხდი მის თითოეულ თანამშრომელს შრომისთვის და მხარდაჭერისთვის.

განყოფილება მუშაობას აგრძელებს აქტიურ რეჟიმში და მისი ყველა თანამშრომელი მომავალშიც მზად არის თავი გაართვას მასზე კანონმდებლობით დაკისრებულ ამოცანებს.

ნინო სუხიაშვილი,

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42,46,47. „ხმ“ 2025წ, #1,2,3.).

პანტები - ადგ., საძოვარი დაასავლეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო, დიდი პანტები იდგა”.

რგვალი მინდორი - ადგ., მინდორი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,მინდორია ტყეში, ტასიკოს სვნიდან, რო ადიხარ იქ არის”.

საღუები - ადგ., საძოვარი სამხრეთის მხარეს.

ტასიკოს მიწა - ადგ., საძოვარი სამხრეთის მხარეს. ტასიკო ხაჩიძეს ეკუთვნოდა.

ტასიკოს სვნი - ადგ., სვანი სამხრეთის მხარეს. ,,აქ ხეებს აცურებდნენ”.
ტატოს საღუა - ადგ., საძოვარი სამხრეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო, ტატო ღონღაძეს ეკუთვნოდა“.

ტბიელების გზა - ადგ., გზა სოფელში. ,,ამ გზით მიდიხარ ზვარისაკენ“.

ტბის წყალი - ადგ., ღელე სოფელში. ტბის წყლები /წყაროები/ ქმნიან, ერთვის მდ. შოლას.

ტყემლარი - ადგ., საძოვარი სამხრეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო, ბლიაძეებს ეკუთვნოდა.

წიქარიშვილების ახოები - ადგ., საძოვარი სამხრეთის მხარეს

სოფელი ტ ე ზ ე რ ი

აბანოღელე - ადგილი; ,,ხახუტის ტეზრის ჩრდილო-დასავლეთით ბირკაძეებისა და სავანისუბნელ რონღაძეების უბნის თავში გოგირდოვანი წყალი ამოდის, რომელსაც ხალხი სამკურნალოდ იყენებს. უხდება რადიკულიტს, თავის ტკივილს და სხვა მრავალ დავადებას. ხახუტის ტეზერში მცხოვრებ გუჯა აბრამაშვილს თუ დავუჯერებთ, ისე დავადებულა რადიკულიტით, რომ ფეხის გადადგმაც კი უჭირდა. მის ძმას აბანოღელიდან ორი ჩაფი წყალი ჩამოუტანია, უბანავია და სამუდამოდ განკურნებულა. ბირკაძეების უბანში აბანოღელიდან მილებით გამოყვანილ წყალს ცეცხლი ეკიდება. აბანოღელე დღეს მიტოვებულია“.
აბრამიშვილების უბანი - ადგ; უბანი კოშკის ტეზერში.
არევაძის კაკლები - ადგ., სახნავი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,კაკლები იყო. ახლაც დგას ერთი-ორი ძირი”. ,,ხალხი კაკლებსაც ეძახის. კოშკის ტეზრის ზედა უბანში ცხოვრობდა სოლო არევაძე, რომელსაც რამდენიმე ძირი კაკლის ნერგი დაურგავს მინდორში, თავისი მიწის ნაკვეთის გვერდით. ჩემს ხსოვნაში სამი ძირი იდგა, დღეს არცერთი აღარ დგას“.

აღმართი (1) - ადგ; აღმართი. ,,კოშკის ტეზრის მთავარი გზის დასაწყისშივე იწყება. საკმაოდ დამრეცი აღმართია“.

აღმართი (2) - ადგ; აღმართი. ,,კოშკის ტეზრის პირველი აღმართის ავლის შემდეგ იწყება საკმაოდ გრძელი, დამქანცველი აღმართი, რომლის ავლის შემდეგ, როგორი მზიანი და ხვატიანი ამინდიც არ უნდა იდგას, გრილი ნიავი დაგიბერავს და გაგახალისებს“.

აღმართი (3) - ადგ; აღმართი. ,,მეორე აღმართის შემდეგ ცოტაოდენი ვაკის გავლის შემდეგ იწყება მესამე აღმართი. იგი არცთუ დამრეცი, მაგრამ უკვე დაღლილი კაცისთვის საგრძნობლად მოსაბეზრებელი, მაგრამ ლაღად ასასვლელია“.

აყალო მიწა - ადგილი; ,,ხარატიშვილების წყაროს სიახლოვეს, ტეზრის ანუ გოგიას ღელის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. აქ მოიპოვება აყალო მიწა. ხალხი დღესაც ქვევრის თავის მოსაგლესად აყალო მიწას აქედან ეზიდება“.

ბეკმის ღელე - ღელე აღმოსავლეთის მხარეს. ჰყოფს ბეკამსა და ტეზერს. ,,კოშკის ტეზრის აღმოსავლეთით და სოფელ ბეკმის დასავლეთით მოედინება ბეკმის ღელე, რომელიც სათავეს ცხრაწყაროს მიდამოებიდან იღებს“.

ბეკმიღელის მიწები - ადგილი; ,,კოშკის ტეზრის თავში, ჩრდილო-აღმოსავლეთით, ბეკმიღელის მარჯვენა ნაპირზე, არევაძის კალების დაბლა მდებარეობს, ჩრდილოეთის მხრიდან სოფელ ბეკამში გადასასვლელი საურმე გზა გაუდის“.

ბეკმის წყარო - ადგ; წყარო აღმოსავლეთით. ,,ბეკმის ღელის მარცხენა ნაპირზე, სოფლის მახლობლად მდებარეობს“.
ბეკმის ხევა - ადგილი; XIX ს-ის დასაწყისით დათარიღებულ ბესარიონ ხუცესის წერილში ევგენი აბაშიძისადმი, ნათქვამია, რომ ,,ბეკმის ხევა მე (ბესარიონ ხუცესმა - თ.ლ.) ვიყიდე“.

ბერეკას გზა - ადგ; გზა. ,,პატარა და დიდ სერამდე მისასვლელად მთავარი გზის მარცხნივ ვინმე ბერეკას ტყეში ფართო ბილიკის მსგავსი გზა გაუჭრია“.
ბეროზაშვილების უბანი - ადგ; უბანი ხახუტის ტეზერში.
ბეხტეს ახო - ადგილი; ,,პატარა ტბის მახლობლად გიორგი აბრამაშვილს, მეტსახელად ბეხტეს, ტყე გაუკაფავს“.

ბირკაძეების უბანი - ადგ; უბანი ხახუტის ტეზერში.

გაბლოს ნაჭერი - ადგილი; ,,დიდსერიდან წიფაში გადასასვლელ გზასთან არის“.

გაბოს დუქანი - ადგილი; ,,კოშკის ტეზერში, ხარატიშვილების უბანში, ცხოვრობდა გაბო ხარატიშვილი, რომელსაც თავისი სახლის წინ დაახლოებით 100 თუ 150 წლის წინ მუხისა და თელის ფიცრებისაგან დუქანი აუშენებია. ჩემს მახსოვრობაში იასონ ხარატიშვილს საბძლად ჰქონდა გამოყენებული. საბძელი დღესაც დგას“.

განიმიწა - ადგ; სახნავი. ,,ხარატიშვილების უბნიდან ხარატიშვილების წყაროამდე, რომელიც ტეზრის ღელის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს და ადრე უბნისთვის ძირითად სასმელ წყალს წარმოადგენდა, ვიწრო ბილიკით განიმიწა უნდა გაგევლო, რომ ჩაფით ხელში სახლში წყალი მიეტანათ. განიმიწა ნაყოფიერი სახნავი მიწაა“.

გაბრიელა აბრამაშვილის მიწა - ადგ; იხ. ნახვეტრის მიწა.
გვერდუა - ადგილი; ,,პანტის წყაროს ზედა მხარეს არის დამრეცი ფერდობი, რომელსაც გვერდუას უწოდებენ“.

გვიმრიანი - ადგილი; ,,ხელოვური ტბის დასავლეთით გვიმრებით სავსე მინდორი“.

გიგია ღამბაშიძის მიწა - ადგილი; იხ. მგრგვალა.
გირვანქას ახო - ადგ; სახნავი. ,,გიორგი რევაზიშვილს ეკუთვნოდა. მას ზედმეტ სახელად გირვანქას ეძახდნენ“.

გოგალაძის ნაჩეხი - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ტყე იყო, გოგალაძემ გაჩეხა”. ,,ბეკმელმა ვინმე გოგალაძემ ფუყეს ახოს აღმოსავლეთით სახნავად ტყე გაჩეხა, რომელსაც მერე გოგალაძის ნაჩეხი ეწოდა“.

გოგიას ღელე - იგივე ტეზრის ღელე, ჩამოდის სოფელში, ხახუტის და კოშკის ტეზერს შორის. ,,პატარა ღელეა, სათავეს ნატბებიდან და ჭენჭყობიდან იღებს“.

გულიწოს ვენახი - ადგილი; ,,ვენახები ყოფილა, მერე გაუჩეხიათ”. ,,ვენახი გიორგი ორჯონიკიძეს ეკუთვნოდა, მეტსახელად გულიწოს უძახდნენ. ამჟამად გულიწოს ვენახი აღარ არსებობს და მას ნავენახარს უწოდებენ, თუმცა ნავენახარს გულიწოს ვენახის გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთს მანამდეც უძახდნენ“.

დაკიდებული - ადგილი; დაფიქსირებულია 1691 წლის საბუთში: ,,... შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, აბაშიძემ პატრონმა პატამა და თანამეცხედრემა ჩვენმა ფალავანდიშვილის ასულმა ბატონმა მარიამ, შვილმა ჩვენმა გედევან..., თქვენ ჩვენს ერთგულსა და თავდადებით ნამსახურს აზნაურიშვილს ორჯონიკიძეს მამუკასა, შვილსა შენსა ქაიხოსროს და ბეჟანს... ასე და ამა პირსა ზედა რომე საწყლისპიროს წყალობას შამოგვეხვეწენით და გიყავით წყალობა და გიბოძეთ ჭალისთავს წყალი საოჩხე და საფიჩხულე. თავს სავანლის მიდგმამდი, ..., ბოლოს შარა, რომ ჩამოვა იმის სწორათ დაკიდებულამდი“.

დევიძის მიწა - ადგილი; იხ. მგრგვალა

დიდი ვენახები - ადგ., ვენახი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,საბჭოთა ხელისუფლების დროს ხოლუაშვილების უბნის დასავლეთით გაშენდა ვენახი, რომელსაც ეს სახელი ეწოდა“.

დიდი სერი - ადგ., სერი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

,,ლიხის ქედის აღმოსავლეთით, კოტილაურის მთის ძირში არსებული ადგილია“.

დოღლაურის არხი - ადგილი; არხი. ,,მისი გაყვანა ჯერ კიდევ სამამულო ომის დაწყებამდე დაიწყეს, მაგრამ დამთავრებას ხელი ომმა შეუშალა. ომის დამთავრების შემდეგ ჩადგა მწყობრში“(კ. ხარატიშვილი).

ეკლები - ადგილი; ,,რკინიგზის ლიანდაგის ზოლის ორივე მხარეს გაშენებულია ქარსაცავი, სადაც ხეხილთან ერთად სხვადასხვა ჯიშის ეკლიანი, მაღალი ტანის ხეებიც არის ჩანერგილი. ზოგიერთის მტკიცებით, ეკლიანი ხეების ჯიშები ამერიკიდან ჩამოიტანეს. ყიფიანთუბანში ამ ზოლს ფშატებს უძახიან“.

ზაქარია ორჯონიკიძის მიწა - ადგ; იხ. ნახვეტრის მიწა.

ზურაბ ორჯონიკიძის მიწა - ადგ; იხ. ნახვეტარი.

ზედა უბანი - ადგილი; უბანი. იგივეა, რაც ხარატიშვილებისა და მანჩხაშვილების უბანი. ,,კოშკის ტეზრის ზედა მხარეს, სადაც სხვადასხვა გვარის პატა-პატარა უბნებია, მას ვეძახით. ზედა უბანს ყიფიანთუბანში რკინიგზის ზოლის ზედა მხარესაც უწოდებენ“.

ზინას კაკლები- ადგ., სახნავი. ,,კაკლები ჰქონდა აქ მანჩხაშვილს, რომ გარდაიცვალა, შემეგ დაერქვა მეუღლის – ზინას სახელი”.

თეგაძის მიწა - ადგილი; დაფიქსირებულია ივანე აბრამაშვილის მიერ 1747 წელს პაპუა ორჯონიკიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნში, როგორც საზღვარი: ,,...ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, ივანა აბრამაშვილმა, შვილმა და მომავალმა სახლისა ჩემისამა თქვენ, ორონიკიძეს პაპუასა, შვილსა და მომავალსა სახლისა თქვენისასა. ასე რომე დამეჭირა და მოგყიდე ჩემი ნასყიდი მიწა ოთხი დღისა... მიწა არის იქით გვერდზედ თეგაძის მიწის მიდგმამდი, აქეთ გზამდი, ბოლოს შენის მიწის მიდგმამდი, აქეთ ინანას სასახლემდი“.

თეთრი სამანი//თეთრი სამნები - ადგილი; იხ. ღოჯის ქედი. 1820 წლის 30 მაისს ზურაბ ჩხეიძე ნასყიდობის წიგნს აძლევს ბერუა და სოსია კიკაძეებს შოლის პირზე ,,სამკვიდრო მიწის“ მიყიდვის თაობაზე: ,,ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეცი მე, ტეზერში მცხოვრებელმან აზნაურმა ზურაბ ჩხეიძემან შენ, ბეკამში მცხოვრებელს კიკაძეს ბერუასა და ბიძაშვილსა შენსა სოსიასა და მომავალსა სახლისა თქვენისასა. ასე რომ დამეჭირა და მოგყიდე ჩემი ალალი სამკვიდრო მიწა შოლის პირზე, ორის დღისა. თავს შარამდინ, ბოლოს შოლამდინ, ერთი გვერდი თეთრ სამნებამდინ, მეორე გვერდი კიდევ შოლამდინ“.

თხუთმეტიანი - ადგ; სახნავი, სათესი. ,,ფშანში, სოფლიდან გასასვლელი გზის მარჯვნივ და საწრეტი არხის მატცხენა მხარეს შოლამდე უხვმოსავლიანი მიწის ნაკვეთებია. აქ, მოსახლეობას საბჭოთა წყობის მოშლის შემდეგ 15-მეასედიანი ნაკვეთები დაურიგეს“..

კაკლები - ადგ., მინდორი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,კაკლები იყო”.

კახაურა - ადგ., სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ყველაზე კარგი მოსავალი იცის აქ ტეზერში”. ,,კახაურა ტეზრის მიწაა, რომელიც მდინარე შოლის მარცხენა მხარეს და ტეზრის ღელის, რომელიც მდინარე შოლას ერთვის, მარჯვენა მხარეს მდებარეობს. სოფლის მოსახლეობა ასპინძის ომიდან თბილისს მიმავალ ერეკლე მეფეს შეხვდნენ შეძახილით: ,,კახა ურა!“ მეორე ვერსიით აქ სოფლის მოსახლეობამ ასპინძაში მიმავალ ერეკლე მეფეს და ტოტლებენის მებრძოლებს შეხვედრა მოუწყვეს. რუსმა ჯარისკაცებმა შეხვედრის დროს მეფეს ხმამაღლა შესძახეს ,,კახა ურა“, რასაც ქართველებიც აჰყვნენ“.

კლდიანი - ადგილი; ,,კლდიანზე მისასვლელი გზა იწყება სვანის ახოდან. გზა კლდოვანია, კლდიანის ზემოთ პატარა სერია. ანალოგიური ტოპონიმი სავანისუბნის ჩრდილოეთითაც არსებობს. ძალიან ქვიანია. ,,ეკლესიის ასაშენებლად ქვა აქ მოტეხესო“ - ამბობს ხალხი“.

კლდიანის ცივი წყარო - ადგილი; ,,კლდიანის ხევში დიდი მსხვილი წიფლის ძირში ცივი წყალი ამოდის, სამწუხაროდ წიფლის ხე მოჭრეს“.
კლდის წყარო - წყარო ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,კლდეში გამოდის”. ,,გამოდის დაბურული პატარა ბორცვის კლდიდან, მდებარეობს ძაღლიხევის დაბლა, ტეზრის ღელის მარცხენა ნაპირზე, სოსე ხარატიშვილის ყოფილ მიწის ნაკვეთთან“.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ნინო ხარაზიშვილი: მე მხოლოდ სერფინგის დაფაზე ვდგავარ და ველოდები ტალღის სიძლიერეს, იმ სიმაღლეზე ავხტები და იმ მიმართულებით გავცურავ, საითაც ტალღის დარტყმა წამიყვანს...

ჩემი რესპონდენტი, ძალიან ლამაზი სურამული ოჯახის შვილია, რომელსაც ფრანკოფონების ოჯახად ვიცნობთ ჩვენს მუნიციპალიტეტში. ეს ყველაფერი დედის, ქალბატონი დონიკას დამსახურებაა, რომლის პროფესიულმა სიყვარულმა ენის მიმართ, ფრანგულად ააჟღურტულა ოჯახი და უნებლიედ, სამომავლო პროფესიებისკენაც უბიძგა შვილებს. როგორც ჩემი რესპონდენტი, ოჯახის ნაბოლარა შვილი,ნინო ხარაზიშვილი იხსენებს, მათ ოჯახში, თავიდანვე, ორი ქვეყნის კულტურათა მრავალფეროვნებით გაიზარდა და მშობლიურივით გაითავისა ფრანგული ენა. სამომავლო პროფესია იმდენად ორგანულად აირჩია, სხვა შესაძლებლობაზე, არც უფიქრია. საინტერესო პროფესიული გზის გავლის შემდეგ, რადიკალურად განსხვავებულ საქმიანობაში ჩაერთო, მისი გეგმები, მშობლიურ სურამსაც უკავშირდება.

მაშ ასე: ჩემო ქალაქო, გაიცანით, „ნინო სურამელი“, რომელსაც

საფრანგეთში ამ სახელით იცნობენ.

-თქვენს ოჯახს,ჩვენს ქალაქში, იცნობენ, როგორც ფრანკოფონების ოჯახს. ალბათ, შენი სამომავლო არჩევანი, არავისთვის უცხო და მოულოდნელი არ იქნებოდა. და მაინც,იყო თუ არა ეს,ოჯახური გავლენა?

-მოდი, ამ კითხვაზე პასუხს თომას ჯეფერსონის, აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მთავარი ავტორის სიტყვებით დავიწყებ, რომელიც ამბობდა: «ყველას აქვს 2 სამშობლო: საკუთარი და კიდევ საფრანგეთი». მაგრამ უცხო ქვეყანა რომ საკუთრად მიიღო, ჯერ უნდა იცნობდე. ჩემს შემთხვევაში კი, გასაკვირი სწორედ ისაა, რომ ბავშვობიდან შევისისხლხორცე ფრანგული ენა და კულტურა. ალბათ, 8 წლის ვიქნებოდი, დედას რომ რაღაც ფრანგული სიტყვის განმარტება ვთხოვე, მას კი გაუკვირდა საიდან იცი, არც კი იცოდა, რომ მე უკვე ჩვენს ბიბლიოთეკაში არსებული ყველა საბავშვო წიგნი მქონდა ფრანგულად წაკითხული. რა თქმა უნდა, დიდია ოჯახის როლი და გავლენა, რომელიც იწყება დედის ფიგურით, მისი ქერა თმებით- ყოველ საღამოს რომ „ბიგუდებით“ იყენებდა და მისი მაღალქუსლიანი „ფრანცუსკებით“; ჩემი უფროსი დის, ქეთის, ფრანგული ლიტერატურით გატაცებით, მოპასანის ნოველების ნაწყვეტებს ზეპირად რომ ჰყვებოდა ან ვერლენისა და ბოდლერის მელანქოლიურ რითმებს ხელით რომ იწერდა საკუთარ რვეულში და ასე ეალერსებოდა; ჩემი მეორე დის, თამუნას დიდი როლით, რომელმაც აქამდე მითიურ ქვეყნად აღქმული საფრანგეთი ცოცხალი და ხელშესახები გახადა; მამას სკოლით, იტრიის სკოლით, სადაც მე არ ვსწავლობდი, მაგრამ მის აღსაზრდელებს საშუალება ჰქონდათ, ფრანგებთან ერთად ესწავლათ ენა, ეს ფრანგები კი ჩვენთან ცხოვრობდნენ და რაღა თქმა უნდა, ყოველდღიური კომუნიკაცია მქონდა.

და მიუხედავად ამ ყველაფრისა, როდესაც ოჯახს განვუცხადე, რომ მეც ფრანგული ენის მიმართულებით მინდოდა მესწავლა, ყველა საშინლად წინააღმდეგი იყო, მათ უფრო სერიოზული მომავალი უნდოდათ ჩემთვის, ვიდრე პატარა ქალაქის რომელიმე სკოლის ფრანგული ენის პედაგოგობა იქნებოდა. თუმცა, როცა რაღაც შენი არსების ნაწილია და მთელი გულით აკეთებ, შეიძლება მოვლენათა სვლამ შენვე გაგაოცოს და რომც ვერ წარმოიდგენდი, ისეთი გეზი მოგცეს.

- როგორ გაიხსენებ სტუდენტობას,პირველ გასვლას საფრანგეთში? დამეთანხმები,ეს ის პერიოდია,გაცვლითი პროგრამები,სწავლის გაგრძელება სხვა ქვეყანაში, არც ისე ხშირი და მარტივი იყო,შენ შემთხვევაში როგორ მოხდა?

-ვერ ვიტყვი, რომ 90იანების სტუდენტი ვიყავი, მაგრამ 2000იანი წლები არც თუ ისე განსხვავებული იყო ავბედითი 90-იანებიდან. თუმცა, მე გამიმართლა, ილიას უნივერსიტეტმა, საფრანგეთის საელჩოსთან ერთად, მონპელიეს უნივერსიტეტის საუკეთესოთა განყოფილება გახსნა. თითოეულ წელს მხოლოდ 10 საუკეთესო სტუდენტს იღებდნენ, საელჩოს წარმომადგენლებთან კონკურსის გავლის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ ამ 10 საუკუთესოთა შორის აღმოვჩნდი და მეორე წელს, ამ 10 საუკეთესოდან კიდევ აირჩა 2 საუკეთესო, რომელიც გაემგზავრებოდა მონპელიეში. აქაც გამიმართლა და ასე აღმოვჩნდი რევოლუციის მომლოდინე საქართველოდან, უზარმაზარ სტუდენტურ ქალაქში, მონპელიეში, სადაც ხალხის მთავარი საზრუნავი იყო არა წყლის მომარაგება გრაფიკის დროს, არამედ ცხოვრებით ტკბობა და სიამოვნების მიღება. საფრანგეთში მე არ მიმიღია მხოლოდ ცოდნა, საფრანგეთში ჩამოყალიბდა ჩემი ესთეტიკა და ცხოვრების ფილოსოფია.

-როგორი იყო პირველი შეხება საფრანგეთთან, რამდენად დიდი კულტურული და მენტალური განსხვავება დაგხვდა?

-როგორც ვერ ვხსნი საიდან ჩაინერგა და განვითარდა ეს ფრანგული იდენტობა სურამში, ასე ვერ ვხსნი, იმ მშობლიურობის გრძნობას, რომელიც დამეუფლა თვითმფრინავიდან როგორც კი ჩამოვედი და ფრანგულად მივესალმე აეროპორტის თანამშრომელს. ამიტომ შოკი ნამდვილად არ მიმიღია, თუმცა ფასეულობებსა და მენტალობაში დიდი განსხვავებაა. ყველაზე მეტად ფრანგული ინდივიდუალიზმი და კრიტიკული აზროვნება განსხვავდება ქართული კოლექტიური კულტურისა და „რა ვქნათ“ აზროვნებისგან. ალბათ, განსხვავებული კულტურისა და ცივილიზაციაში ცხოვრების მთავარი სარგებელი ზუსტად ისაა, რომ ეს განსხვავებები საკუთარ კულტურაზეც გაფიქრებს და ახლებურად აღმოაჩენ ნაცნობს. შემიძლია ვთქვა, რომ სწორედ ფრანგებისა და საფრანგეთის წყალობით უკეთესად გავიცანი ჩვენი ქვეყანა და კულტურა, პარალელების გავლება, განსხვავებების და განსაკუთრებით ამ განსხვავებების ახსნის პოვნა ყველაზე საინტერესო ასპექტია დღემდე ჩემს მოგზაურობებში.

- საფრანგეთის შემდეგ,საქართველოში როგორ გაგრძელდა შენი საქმიანობა და კარიერა?

-საფრანგეთის მთავრობის სტიპენდიის წყალობით, მონპელიეს შემდეგ,

2006 წელს, სორბონში გავიარე მაგისტრატურის კურსი, კვლევის განხრით. კვლევის თემა კი იყო «როგორ მოვამზადოთ უცხო ენის მასწავლებლები, საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმების ფონზე“. წელი წარჩინებით დავასრულე და კვლევისთვის წოდებაც მივიღე. რაღა თქმა უნდა, საქართველოში ჩამოსვლა და ჩემი მცირე გამოცდილების გაზიარება ჩემი თანამემამულეებისადმი თავიდანვე პროფესიული გეგმა იყო. გარდა ამისა, იგივე მონპელიეს განყოფილებაში, სადაც მე ვსწავლობდი, 24 წლიდან პერიოდულად ვკითხულობდი ინტერკულტურისა და თანამედროვე სწავლების მეთოდების

კურსს ფრანგულად. ამიტომ, როდესაც ჩამოვედი, ილიას უნივერსიტეტის განათლების განყოფილებამ მაშინვე შემომთავაზა მაგისტრატურის საფეხურზე წამეკითხა ქართულად იგივე კურსი. ამას მოჰყვა კონკურსის პირობებით ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ენების ცენტრში სრული განაკვეთი, კავკასიის ფრანგული სკოლა, სადაც მე ჩავუყარე საფუძველი „ფრანგული, როგორც სკოლის ენის“ კათედრას. ასევე, ევროკავშირის საერთაშორისო დიპლომების ჟიურის

(დასასრული VI გვერდზე

ნინო ხარაზიშვილი: მე მხოლოდ სერფინგის დაფაზე ვდგავარ და ველოდები ტალღის სიძლიერეს, იმ სიმაღლეზე ავხტები და იმ მიმართულებით გავცურავ, საითაც ტალღის დარტყმა წამიყვანს...

(დასასრული)

წევრობა, ილიას უნივერსიტეტში არსებული კვლევითი ცენტრის მაძიებლობა, სტატიების გამოქვეყნება პრესტიჟულ ფრანგულ სამეცნიერო გამოცემებში და საერთაშორისო კონფერენციებში სიტყვით გამოსვლა, პარიზის სენ-დენის ინფორმატიკულ განყოფილებასთან და ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოსთან ძალიან საინტერესო პროექტები. შეიძლება რამე გამომრჩა და არ მიწყენენ ჩემი თანამშრომლები, რომლებთანაც ყოველთვის ახლო და არამარტო კოლეგიალური ურთიერთობა მქონდა. დღეს, პერიოდულად მომმართავენ ფრანგული ენის მასწავლებლების ტრენინგების ჩასატარებლად.

კოვიდ-19ის პერიოდმა სრულიად გარდაქმნა ჩემი კარიერა, აღმოვაჩინე, რომ 15 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება აღარ მაკმაყოფილებს და უკვე 2 წელია MBA ვაკეთებ ნანტის უნივერსიტეტში, დიპლომის დაცვა სულ რაღაც 1 კვირის უკან მქონდა.

- როგორც ვიცი,ევროპის ბევრი ქვეყანა გაქვს ნანახი,რა ადგილასაა საქართველო შენთვის?

-უცხო ქვეყნები ჩემთვის მხოლოდ ახლის შეცნობის და აღმოჩენების საშუალებაა, იქ მარცვლებს ვპოულობ, რომელსაც ჩემს ნიადაგში, საქართველოში ვცდილობ მიმოვაბნიო. თუ სადმე რამე აღმოცენდება, თუნდაც ჰიბრიდული ჯიშის სახით, ბედნიერი ვიქნები.

- ბუნებით მაძიებელი ხარ, რაც ახალი პროფესიის დაუფლებაში და საქმიანონის სფეროს რადიკალურ შეცვლაშიც აისახა. გვიამბე ამ მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ.

- როგორც უკვე ვახსენე, კოვიდ ჩაკეტილობის შედეგად, ონლაინ სწავლების წყალობით, სურამში მომიწია დაბრუნება დიდი ხნით. მადლობელი ვარ ამ პერიოდის, რამეთუ თავიდან აღმომაჩენინა ჩემი ქალაქი და რაიონი, გამაცნო ძალიან საინტერესო ხალხი, უკეთესად დამანახა სურამის გასაჭირიც და უპირატესობაც. ამიტომ, გამიჩნდა სურვილი რომ ჩემი ქალაქის კეთილდღეობისთვის მიმეძღვნა ჩემი შესაძლებლობები და უნარ-ჩვევები. ასე დაიბადა პატარა პროექტი, რომელიც მუნიციპალიტეტსაც გადაეგზავნა. სამწუხაროდ, ინტერესი ვერ გამოიწვია, მაგრამ მე სტიმული მომცა, პროფესიონალური მიდგომით უკეთესი გამეხადა. სწორედ ამიტომ, მივიღე მონაწილეობა ბელგიისა და ფრანკოფონიის საერთაშორისო ორგანიზაციის სასტიპენდიო კონკურსში და მათი დაფინანსებით გავემგზავრე მენეჯმენტისა და ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრატურის გასაკეთებლად, 1 წელი ბულგარეთში და შემდეგ ნახევარი წელი პარიზში. დიპლომს გასცემს ნანტის უნივერსიტეტი და უკვე შემიძლია ვთქვა, რომ ეს მაგისტრატურაც წარმატებით გავიარე და მზად ვარ შევუდგე ახალ გამოწვევებს.

- ამჟამად სურამში ხართ,რითი ხართ დაკავებული,როგორია ერთი სურამული დილა და ზოგადად, რას ნიშნავს სურამი შენთვის?

-სურამი ყოველთვის იყო ჩემი ნავსაყუდელი, თბილისში ჩემს გვარს ცოტა თუ იცნობს, ყველა ნინა სურამელად მომიხსენიებს. ეს არის ის ჯადოსნური ადგილი, რომელიც ყოველთვის მაპოვნინებს საკუთარ თავს და მომიტანს სულიერ სიმშვიდეს.

მეგობრები დამცინიან, როცა ვამბობ, რომ ორი საყვარელი ქალაქი მაქვს მსოფლიოში: სურამი და პარიზი. რაოდენ კონტრასტული რიტმი, ცხოვრების სტილი, სიამოვნებები და დინამიკაც არ უნდა ჰქონდეს ამ 2 ქალაქს, მე ორივე მჭირდება. ერთი სურამული დილა აუცილებლად ჩემს აივანზე, ჩემს საქანელაზე იწყება, მზის სხივებში შავი ყავის არომატითა და ბოსა ნოვას ჰანგებით, ხშირად იოგის პატარა სეანსიც ავსებს სრულ სიამოვნებას და შემდეგ ჯანმრთელი და რაც მთავარია, ფერადი საუზმე აუცილებლად ლამაზად გაწყობილ სუფრაზე.

- ვიცი,რომ სურამთან დაკავშირებით,საინტერესო პროექტიც გაქვს, რომელსაც საინტერესო სიკეთეების მოტანა შეუძლია მოსახლეობისთვის.

-დიახ, სწორედ ამ პროექტით ვცხოვრობ უკვე 2 წელია. ძალიან მინდა, საზოგადოებრივი კაფის დანერგვა. მართალი გითხრა, არ ვიცი ქართულად რა ვუწოდო, ისევ ფრანგებთან გავეცანი მსგავსი კონცეფციის კაფეს და თანამშრომლობასაც დავუდეთ დასაბამი. ფრანგულად «Café associatif » ეწოდება, ესაა ადგილი, სადაც ყველას შეუძლია თავი მოიყაროს: მოხუცსაც და ახალგაზრდასაც. ესაა ადგილი, რომელიც ხელს შეუწყობს ამ ორ თაობას შორის მეტ გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას, რომელიც შესთავაზებს სხვადასხვა სახის სახელოსნოს პენსიონერ, აქტიურ მოსახლეობასაც და სკოლის მოსწავლეებსაც, სადაც იქნება მხოლოდ ჯანსაღი კვება და ადგილობრივი მოსახლეობისგან ნაყიდი პროდუქტი, სადაც ნებისმიერს შეეძლება ოჯახში მორჩენილი თუ ზედმეტი პროდუქტის მოტანა და მათთვის, ვისაც ნაკლების შესაძლებლობა აქვს, მათთვის გაზიარება. ესაა ადგილი, რომელიც არავის ეკუთვნის, რომელიც იარსებებს და იცხოვრებს მხოლოდ სურამლების წყალობით, მათი მოლოდინების, საჭიროებების და აქტიურობის მიხედვით.

- ვიცი, რომ ბევრი რამე, სპონტანურად და დაუგეგმავად ხდება შენს ცხოვრებაში და მაინც ვსვამ კითხვას, სამომავლოდ რა გეგმები გაქვს, საით მიდის ნინა სურამელი ?

-მიმაჩნია, რომ ყველაზე დიდი გონიერება, რაც გამაჩნია ამ ცხოვრებაში, არის ის, რომ ცხოვრების გამოწვევებს არასოდეს ვარიდებ თავს და მის მიერ მოტანილ შესაძლებლობებს ყოველთვის ვიყენებ. აქედან გამომდინარე, გეგმები საერთოდ არ მაქვს, მე მხოლოდ სერფინგის დაფაზე ვდგავარ და ველოდები ტალღის სიძლიერეს, იმ სიმაღლეზე ავხტები და იმ მიმართულებით გავცურავ, საითაც ტალღის დარტყმა წამიყვანს.

თ. ჯავახიშვილი

ლუკა მაისურაძის ვერცხლი-პარიზის გრანდ-სლემზე

იაპონიის შემდეგ, ლუკა მაისურაძე კიდევ ერთხელ შედგა გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე, ამჯერად პარიზში, სადაც მსოფლიოს გამორჩეული ძიუდოისტები ერკინებოდნენ ერთმანეთს. ლუკა ერთწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, თანდათან შედის ფორმაში და ეს ზემოაღნიშნულმა ტურნირებმაც ცხადყო. თუნდაც იმ ფაქტის აღნიშვნა რად ღირს, რომ ლუკამ, ფინალამდე, მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი, იაპონელი ძიუდოისტი დაამარცხა.

მთავარი შეჯიბრებები წინაა და გვჯერა, ჩვენი ლომკაცი ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებშიც ასახელებს ხაშურს და სრულიად საქართველოს.

- ი უ ბ ი ლ ე -

D

90- გიორგი ტაბატაძე -90

ვულოცავთ!

90 წელი შეუსრულდა ღირსეულ ხაშურელს, შესანიშნავ პიროვნებას და კარგ ქართველს გიორგი ტაბატაძეს, „საქმემან შენმა წარმოგაჩინოსო“-ნათქვამია და სწორედ რომ ნაღვაწმა და ნამოქმედარმა აქცია ბატონი გიორგი იმ კაცად, რომელიც ასე დაფასდა ჩვენს ქალაქში.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე ჩაერთო იგი საქმიანობაში და სულ რამდენიმე წელში, რაიონის ერთ-ერთ საუკეთესო სამეურნეო მუშაკად იქცა. მხოლოდ იმ ფაქტის აღნიშვნა რად ღირს, რომ იგი, 14 წლის განმავლობაში, ხელმძღვანელობდა სურამის საკონსერვო ქარხანას და ამ პერიოდში, ქარხნის პროდუქციით მთელი მაშინდელი საბჭოთა სივრცე მარაგდებოდა. რაც მთავრია, ამ პროდუქციაზე, მაღალი ხარისხის გამო, უდიდესი მოთხოვნა იყო. ამის შემდეგაც, სადაც კი იღვაწა (მეიხვეობის ფაბრიკა-მთავარი ინჟინერი, მექანიკური ქარხანა-კომერციული დირექტორი, აგარის საკონსერვო ქარხანა-უფროსი ინჟინერი), ყველგან დატოვა თავისი კვალი და ყველგან აჩვენა მაღალი პროფესიონალიზმი და დღეს, თუ ხაშურს არ აკლია უმაღლესი კლასის სამეურნეო მენეჯერები, ამაში დიდი დამსახურება სწორედ გიორგი ტაბატაძის და სხვა მისნაირ მუშაკებს მიუძღვით, რომლებიც კოლექტივის წარმატებით მართვის ერთგვარ სათავეებთან იდგნენ და ათეულობით ახალგაზრდას გაუკვალეს გზა და ათეულობით ახალგაზრდა დააოსტატეს.

დღეს იუბილარია ბატონი გიორგი. 90 წელი შეუსრულდა ამ ღირსეულ კაცს. ვულოცავთ და ულევ სიხარულთან ერთად, ჯანის სიმრთელეს ვუსურვებთ მას. უფლის მაცოცხლებელი წყალობა არ მოკლებოდეს მას და მის ლამაზ ოჯახს.

მეგობრები

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით
გაზეთი იბეჭდება თბილისში.